



ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თვის სასამართლო პრაქტიკის შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი:
 - 2.1 საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
 - 2.2 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
3. დასკვნა

1. შესავალი

2013 წლის 6 თვის განმავლობაში სულ განხილულია 412 საკასაციო საჩივარი, აქედან გაუქმდა 32 საქმე, მათ შორის:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 23 საქმე (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: თბილისის საქალაქო სასამართლომ – 18, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ – 1, გორის რაიონულმა სასამართლომ – 1, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ – 1; რუსთავის რაიონულმა სასამართლომ – 1, დედოფლისწყაროს მაგისტრატმა სასამართლომ – 1);
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 9 საქმე (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ – 2, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ – 2, ბათუმის საქალაქო სასამართლომ – 4, საჩხერის რაიონულმა სასამართლომ – 1).

2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი

2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 პუნქტი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/2117-12 26.07.12) გორის რაიონული სასამართლოს (№2/1228-12 19.04.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა სსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილი და არ გაათავისუფლა მოსარჩელე მტკიცების ტვირთისაგან. სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა მოსარჩელის მიერ აღძრული შუამდგომლობა და მასში მითითებული ფაქტების დასადასტურებლად მოპასუხის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების ვალდებულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მიზანია მტკიცებულებების წარდგენის უზრუნველყოფა იმ მხარისაგან, რომელთანაც ინახება

მტკიცებულება, მაგრამ მისთვის არ არის ხელსაყრელი მათი სასამართლოში წარდგენა, რადგან ამ მტკიცებულებით შეიძლება დადასტურდეს მისთვის არასასურველი ფაქტი. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია, მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე. განსახილველი ნორმის თანახმად კი, იმისათვის, რომ სასამართლომ გადააკისროს მტკიცების ტვირთი მხარეს, რომელსაც არ ევალდება სადავო ფაქტის დადასტურება, აუცილებელია, არსებობდეს შემდეგი ორი წინაპირობა: პირველი, მხარე არ უნდა უარყოფდეს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა და, მეორე, იგი წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს უნდა ამბობდეს. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ, ზემოთ მითითებული განმარტებების მიხედვით, მოპასუხეს უნდა განუსაზღვროს სსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული წინაპირობები და შედეგები, თუ მოპასუხე მხარე ვერ დადასტურებს ამ მტკიცებულებების წარუდგენლობის საპატიო მიზეზს, მაშინ მოსარჩელე უნდა გათავისუფლდეს ამ მტკიცებულებებით დასადასტურებელი ფაქტების მტკიცებისაგან. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა გასახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-1235-1164-2011 07.03.12).

სასამართლოს შეცდომა (ექსპერტის დასკვნის შეფასება, სსკ-ის 172-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/2912-12 24.10.12) ახალციხის რაიონული სასამართლოს (№2/378-11 04.06.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, უკრიტიკოდ გაიზიარა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა და უძრავი ქონების ნატურით დაყოფა, სკ-ის 963-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლებლად მიიჩნია. ექსპერტიზის დასკვნა, რომელსაც დაემყარა სასამართლო, არ შეიცავდა მითითებას ქონების გაყოფისას ნივთის ღირებულების შემცირების საკითხზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია რა გარკვეული საკითხების მიმართ მცოდნე პირის – ექსპერტის დასკვნის შეფასების შესაძლებლობა, კანონმდებელი ამ პირის დასკვნას, როგორც მტკიცებულებას, სავალდებულოდ არ მიიჩნევს და სხვა მტკიცებულებებთან ერთად სასამართლოს მიერ მისი შეფასების აუცილებლობას ადგენს. სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და იგი შეფასდება სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით. სკ-ის 963-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: 1) საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება, დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2) ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. აღსანიშნავია, რომ ღირებულებაში იგულისხმება მისი საგნობრივი (ფუნქციური) დანიშნულება და არა ნივთის საბაზრო ღირებულება. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-1656-1553-2012 02.04.13).

სასამართლოს შეცდომა (საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება, სსკ-ის 385-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/1711-11 26.06.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№9314-09 11.04.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას,

არასწორად გამოიყენა სსკ-ის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ძირითადად მოპასუხის მიერ მტკიცებულებათა წარდგენის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლთან შესაბამისობის შემოწმებას ეხებოდა. განჩინებაში არაფერია ნათქვამი, დაიცვა თუ არა მოსარჩელემ მტკიცებულების სასამართლოში წარდგენის საპროცესო კოდექსით საპროცესო წესით განსაზღვრული ის წესი, რომელზეც სასამართლო აპელირებდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლომ საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას რეალურად გაუჭირდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ნაცვლად პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დასაშვებობის, დასაბუთებულობისა და განკუთვნილობის ხელახლა განხილვისა, სააპელაციო სასამართლოს შეეძლო, თვითონვე აღმოეფხვრა ამგვარი ხარვეზი. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს იმ შეფასებას, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე მოწმეთა დაკითხვა. ამგვარი შეფასება ეწინააღმდეგება, როგორც პროცესის ეკონომიურობის, ისე – სააპელაციო განხილვის პრინციპებს. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 412-ე მუხლით, გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად (განჩინება №ას-1308-1234-2012 04.02.13).

– სსკ-ის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა ასევე დარღვეულია საქმეზე №ას-283-269-2013 07.06.13 და №ას-261-249-2013 27.05.13.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: № 28/2707-12 27.12.12 და №28/4099-12 15.01.13.

ხოლო, გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/668-12 21.03.12; №2/8552-12 17.09.12).

სასამართლოს შეცდომა (გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება, სსკ-ის 251-ე მუხლი): თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/1426-12 20.06.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/9666-11 27.03.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობის სწორად დასადგენად საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებები და სხვა მტკიცებულებები არ შეაფასა სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ასევე არასწორად გამოიყენა სსკ-ის 251-ე მუხლი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ხელშეკრულების შინაარსის დადგენისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ მის ფორმალურ ნიშნებზე ყურადღების გამახვილება, ასევე მნიშვნელოვანია მხარეთა ნებისა და ფაქტობრივად არსებული უფლება-ვალდებულებების გამორკვევა-შეფასება. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 251-ე მუხლი და გადაავადა გადაწყვეტილების აღსრულება გონივრული ვადით მხარის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუმცა, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გადაწყვეტილება ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია, რადგან საქმეში არ მოიპოვება შესაბამისი მტკიცებულებები მხარის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს აღსრულების გადავადებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (განჩინება №ას-1162-1091-2012 07.03.13).

სასამართლოს შეცდომა (მტკიცების ტვირთი, სსკ-ის 102-ე მუხლი):

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი უკანონო მფლობელობიდან მოსარჩელის კუთვნილი ნივთების გამოთხოვაა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-689 26.07.12) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (№2/375 07.05.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, უგულებელყო სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნა, კერძოდ, სადავო ოქროს ნივთების უკანონო ფლობის ფაქტი და მათი ფიზიკური მახასიათებლები მოსარჩელის ახსნა-განმარტებისა და მისი ინიციატივით დაკითხული მოწმეების ჩვენებებით დადასტურებულად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლომ, ერთი მხრივ, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის საწინააღმდეგოდ, მხარეთა შორის არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, ხოლო, მეორე მხრივ, ნივთების ფიზიკური მახასიათებლები მტკიცებულებათა არასრულ გამოკვლევაზე დაამყარა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს, მოწმეთა ჩვენებები არ შეუფასებია მისი შინაარსისა და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით, ასევე იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელიც ამ მტკიცებულებისთვისაა დამახასიათებელი. ზემოაღნიშნული საფუძვლით საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (**განჩინება №ას-1326-1252-2012 25.03.13**).

სასამართლოს შეცდომა (მტკიცების ტვირთი, სსკ-ის 102-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1479-12 05.07.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/11643-11 27.03.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის, ასევე დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომელიც საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებიდან არ გამომდინარეობს, კერძოდ, გამყიდველს დააკისრა მტკიცების ტვირთი მის მიერ გაყიდული ნივთის ნივთობრივი ნაკლის არსებობა-არარსებობის თაობაზე (ავტომანქანის გადამცემთა კოლოფის ხმაურთან დაკავშირებით).

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა. ამ დასკვნიდან არ გამომდინარეობს, რომ ხმაური, თავისთავად, ნაკლია. პირიქით, ექსპერტი ნაკლის არსებობას ვერ ადგენს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეს იმ გარემოების გაბათილების ვალდებულება დააკისრა, რომლის არსებობის დადგენაც კი შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ფარული ნაკლი“ გულისხმობს იმგვარ გაუმართაობას, რომელიც თვალსაჩინო არ არის ჩვეულებრივ პირობებში, მაგრამ მისი აღმოჩენა სათანადო ტექნიკური შემოწმებისას შესაძლებელია. მოცემულ შემთხვევაში კი, შეუძლებელია, დადგინდეს, ხმა დამახასიათებელია ამ მოდელის ავტომანქანისათვის თუ გადამცემთა კოლოფის დაზიანებითაა გამოწვეული. არსებული არც ერთი მტკიცებულებიდან არ გამომდინარეობს, რომ გადამცემთა კოლოფის ხმა ფარული ნაკლის არსებობაზე მიუთითებს, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ხმა, თავისთავად, ნაკლია, საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ ემყარება და უსაფუძვლოა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (**გადაწყვეტილება №ას-1134-1065-2012 28.01.13**).

სასამართლოს შეცდომა (მტკიცების ტვირთი, სსკ-ის 102-ე მუხლი):

დავა ეხება სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№28/964-12 16.11.12) ზესტაფონის რაიონული სასამართლოს (№2/102-12 12.07.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, იმ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ მოპასუხე დღემდე ცოცხალია, მიიჩნია, რომ მოსარჩელე მას საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფდა, სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა და მოპასუხეს დააკისრა მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სასამართლო თავისუფალია მტკიცებულებათა შეფასების პროცესში და შეუძლია, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შინაგან რწმენაზე დაყრდნობით დადგენა, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს მტკიცებულებების არარსებობის პირობებში გადაწყვეტილების ვარაუდზე დაყრდნობით მიღების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელე, რომელიც თანხის დაკისრებას ითხოვდა, ვალდებული იყო, წარედგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მან მოპასუხის რჩენისათვის ეს თანხა გაიღო, რაც მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის თანაბრად განაწილების პირობებში, როდესაც მოსარჩელე საკუთარ მოთხოვნას შესაბამის მტკიცებულებებზე ვერ ამყარებს, აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია, რაც სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 411-ე მუხლით, მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-1639-1536-2012 15.05.13).

სასამართლოს შეცდომა (მტკიცების ტვირთი, სსკ-ის 102-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/556-12 25.05.12) რუსთავის რაიონული სასამართლოს (№2-641-10 04.11.11) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, რომელიც ეხებოდა საზოგადოების დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, ასევე სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით მხარეთა შორის არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, კერძოდ, საწარმოს მოგების ხარჯვის კანონიერების დამტკიცების ტვირთი არასწორად დააკისრა მოსარჩელეს (საზოგადოებას).

საკასაციო სასამართლოს განმარტება: ანალოგიურ დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილია ერთგვაროვანი პრაქტიკა (იხ. სუსგ 18 აპრილი, 2011 წელი, №ას-764-715-2010), რომლის მიხედვით საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი მათ ეკისრებათ, ე.ი. დირექტორმა უნდა დამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და მოქმედებდა კეთილსინდისიერად. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 412-ე მუხლით და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (განჩინება №ას-1056-990-2012 29.01.13).

სასამართლოს შეცდომა (მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასება, სკ-ის 105-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-1006-2012 25.10.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2-1175-12 25.07.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საკასაციო საჩივრის

განხილვისას, უგულვებელყო სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნა, კერძოდ, ყოველგვარი წერილობითი მტკიცებულების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია კასატორის მიერ შემოსავლის მიღების ფაქტი, მაშინ, როდესაც ნებისმიერი ხელშეკრულების არსებობა, მისი შესრულების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება არ არის. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ კასატორს მძიმე ფინანსური ვალდებულება დააკისრა (ალიმენტის გადახდა შვილისათვის).

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საქმეში არსებული მტკიცებულებები აკმაყოფილებენ დასაშვებობის მოთხოვნებს, თუმცა, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებენ კასატორის მატერიალურ მდგომარეობას იმ სახით, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია დადგენილად, შესაბამისად, დაუსაბუთებელია სასამართლოს შინაგანი რწმენა და იგი არ გამოდინარეობს სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შესრულებული მტკიცებულებათა შეფასებიდან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (განჩინება №ას-1610-1511-2012 04.02.2013წ).

– ანალოგიური საქმეები: №ას-864-810-2012 11.01.13; №ას-1118-1049-2012 13.02.13; №ას-1249-1178-2012 25.01.13; №ას-1510-1425-2012 18.02.13; №ას-1432-1351-2012 20.05.13; №ას-61-57-2013 07.05.13; №ას-95-90-2013 14.06.13.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/1744-12 11.07.12; №2ბ/2481-12 09.10.12; №2ბ/2419-12 19.09.12; №2ბ/3183-12 15.11.12; №2ბ/2532-12 12.12.12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ: №2ბ/352-2012 24.04.12; №2ბ/422-2012 17.07.12.

ხოლო, გადაწყვეტილებები მიიღეს შემდეგმა პირველი ინსტანციის სასამართლოებმა: თბილისის საქალაქო სასამართლომ (№2/9212-11 31.01.12; №2/3564-12 17.06.12; №2/10337-11 05.12.11; №2-3053-12 18.05.12); გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ (№2/114-12 17.05.12); ქუთაისის საქალაქო სასამართლომ (№2/1659 14.02.12); ბათუმის საქალაქო სასამართლომ (№2/1695-11 23.01.12).

2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები

სასამართლოს შეცდომა (საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის I თებერვლის №107-ე დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის შესახებ“):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1475-12 27.06.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/9239-11 06.03.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად განმარტა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის 107-ე დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის შესახებ“.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: მართალია, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ბინის პრივატიზებიდან გამომდინარე დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, მაგრამ მხედველობიდან გამორჩა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო, მსგავსი დავების გადაწყვეტისას ითვალისწინებს, თუ ვინ იყო პრივატიზების მომენტიანათვის ჩაწერილი სადავო ბინაში და განმარტავს, რომ საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას სწორედ აღნიშნული პირები სარგებლობენ თანაბარი უფლებით, მოიპოვონ

საკუთრების უფლება მათ მიერ დაკავებულ ბინაზე. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ბინის მესაკუთრეებად მიიჩნევიან არა მხოლოდ პრივატიზების ხელშეკრულებაში მითითებული პირები, არამედ მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის ყველა წევრი. აღნიშნული განმარტება გამოდინარეობს №107 დადგენილების 1-ლი პუნქტიდან. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე მუხლით და გადაწყვიტა, გამომდინარე იქიდან, რომ სადავო ბინის პრივატიზების მომენტიდან მოსარჩელე არ იყო დამქირავებელი ან მასთან ერთად მცხოვრები პირი, სადავო ბინაზე მისი საკუთრების უფლების მოპოვებას გამორიცხავს. (გადაწყვეტილება №ას-1148-1077-2012 15.02.13).

სასამართლოს შეცდომა (უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, სკ-ის 172-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№28/584 20.06.12) ზესტაფონის რაიონული სასამართლოს (№2/274 22.03.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, არასწორად გამოიყენა სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი და სასარჩელო მოთხოვნა დააკმაყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ არ იკვეთებოდა ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების ყველა წინაპირობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: პალატა აღნიშნავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების ყველა პირობა ერთობლივად, კერძოდ, სკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს, რომ მოპასუხე უკანონოდ ფლობს მის (მოსარჩელის) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას. მოცემულ საქმეზე კი, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მოპასუხის მიმართ მისი უძრავი ქონების უკანონოდ ფლობის ფაქტი, რაც სარჩელზე უარის თქმის საფუძველია. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 411-ე მუხლით, მიიღო ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე (გადაწყვეტილება №ას-1142-1071-2012 07.03.13).

სასამართლოს შეცდომა (უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, სკ-ის 172-ე მუხლის I ნაწილი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№28/-1142 21.11.12) საჩხერის რაიონული სასამართლოს (№2/100/12 06.09.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, ვინდიკაციური სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია, შეფასების გარეშე დატოვა რა სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული აუცილებელი პირობა – მოსარჩელის უფლება სადავო ნივთთან მიმართებით. სასამართლომ მხოლოდ მოპასუხის მიერ ნივთის ფლობის უფლება შეამოწმა და იგი მართლზომიერ მფლობელად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობა, რომლის თანახმადაც ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეტანილია ცვლილებები. აღნიშნული ცვლილება კი, საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა, ვინაიდან მოპასუხემ არ შეასრულა რეესტრის მოთხოვნა აზომვითი ნახაზის წარდგენის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ცნობა არ გაითვალისწინა და მიიჩნია, რომ იგი არ ცვლის საჯარო რეესტრის ამონაწერს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ხსენებული ცნობა, ბუნებრივია, არ აუქმებს საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე არსებულ ჩანაწერს, თუმცა ადასტურებს მის უზუსტობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გამოკვეთილია მოსარჩელის საკუთრების უფლება სადავო ფართზე, რაც ვინდიკაციური სარჩელის აღძვრის

ერთ-ერთი წინაპირობაა. სააპელაციო პალატას კი, მითითებული გარემოების არსებობა საერთოდ არ გამოუკვლევეია და შეუფასებია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (**განჩინება №ას-39-37-2013 11.03.13**).

სასამართლოს შეცდომა (უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა, სკ-ის 115-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/2008-12 18.09.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/6243-11 12.03.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ ვალდებულების დარღვევიდან 2 წლისა და 5 თვის გასვლის შემდეგ წარადგინა სარჩელი, შეაფასა, როგორც მისთვის მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება.

საკასაციო სასამართლომ განმარტება: სკ-ის 115-ე მუხლით რეგლამენტირებულია უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის პრინციპი. უფლების ბოროტად გამოყენებას მაშინ აქვს ადგილი, თუ პირი მოქმედებს არამართლზომიერად, ამასთან ქმედება მიზნად ისახავს მხოლოდ სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას და არ ემსახურება საკუთარი უფლების დაცვას ან აღდგენას. ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევიდან დაუყოვნებლივ არ წარმოადგინა სარჩელი სასამართლოში, არ შეიძლება განვიხილოთ უფლების ბოროტად გამოყენებად, მით უმეტეს მაშინ, როცა მოსარჩელემ საკუთარი უფლების რეალიზაცია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის დაცვით შეძლო. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 411-ე მუხლით, მიიღო ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. (**გადაწყვეტილება №ას-1385-1307-2012 07.02.13**).

სასამართლოს შეცდომა („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი):

განსახილველი დავის საგანია გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გამო ზიანის ანაზღაურება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№28/1269-11 06.07.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე (№2/4034-10 15.02.11) შემოსული საჩივრის განხილვისას, იხელმძღვანელა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი, მე-2 პუნქტებით და მიიჩნია, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა საჯარო პირს, და შესაბამისად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა არ არსებობდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს ფაქტის შემცველ ინფორმაციას და არა აზრს. საკასაციო პალატის ამგვარი შეფასება გამომდინარეობს როგორც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით შემოთავაზებული „აზრისა“ და „ცილისწამების“ განმარტებიდან, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებათა ანალიზიდან. „აზრი – ეს არის ადამიანის პირადი სუბიექტური შეფასება ამა თუ იმ მოვლენის, იდეის, ფაქტისა თუ პიროვნების მიმართ. ფაქტები არის რეალურად, ნამდვილად მომხდარი საგნები, მოვლენები ან გარემოებები, რომლებიც შეიძლება იყოს მცდარი ან მართალი, სწორი. აქედან გამომდინარე, ფაქტები ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებებს. შესაბამისად ფაქტების გავრცელება ექვემდებარება მათი სისწორის,

ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას. მაშინ როდესაც მოსაზრების ნამდვილობის მტკიცება შეუძლებელია და, შესაბამისად, ამის ვალდებულებაც აზრის გამომთქმელს არ უნდა ეკისრებოდეს“. ის გარემოება, რომ მოსარჩელის შესახებ გავრცელდა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაცია დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ. რაც შეეხება განცხადების ცილისწამებად კვალიფიკაციისათვის ისეთ აუცილებელ ნიშნებს, როგორცაა „პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი“, აღნიშნულთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის გადმოცემული მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ არ იზიარებს სასამართლო მოსარჩელის არგუმენტებს პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვასა და ზიანთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (განჩინება № ას-1149-1169-2011 25.02.13).

სასამართლოს შეცდომა (ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით, სკ-ის 138-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ/3004-12 17.10.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2-1430-11 28.06.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, გამოიყენა სკ-ის 141-ე მუხლი და მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვებიდან ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან დაიწყო. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი და არ გამოიყენა ამავე კოდექსის 140-ე მუხლი. საქმის მასალების თანახმად, მხარეს განემარტა, რომ მისი საქმე არბიტრაჟის განსჯადი არ იყო და მას საერთო სასამართლოებისადმი მიმართვის გზით უნდა დაეცვა საკუთარი სადავოდ გამხდარი უფლება.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარემ არაუფლებამოსილ საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყვეტილა, რაც სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის ან განუხილველად დატოვების შემთხვევაში, პირს შეუზღუდავად შეუძლია ახალი სარჩელის აღძვრა, თუ აღმოიფხვრება სარჩელის წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელი გარემოებები. სწორედ ასეთი შემთხვევისათვის ადგენს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლი, რომ სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყდება, მაგრამ, თუ პირი განუხილველად დატოვებიდან 6 თვის განმავლობაში აღძრავს ახალ სარჩელს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს და განიხილავს, ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის წარდგენის მომენტიდან.

სსკ-ის 186-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო სარჩელს არ მიიღებს წარმოებაში, თუ ეს საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის. სარჩელის განუხილველად დატოვებიდან 6 თვის ვადაში განსჯადი სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად პირველი სარჩელის წარდგენიდან ითვლება. ამავე პრინციპით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს განემარტა, რომ მისი საქმე არბიტრაჟის განსჯადი არ იყო და მას საერთო სასამართლოებისადმი მიმართვის გზით უნდა დაეცვა საკუთარი სადავოდ გამხდარი უფლება, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არბიტრაჟის დადგენილების

მიღებიდან 6 თვის განმავლობაში სარჩელის აღძვრის შემთხვევაში შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენისას შეწყდა, მოსარჩელეს კი, პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი ამ ვადის დაცვით არ აღუძრავს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა ქვემოთაღნიშნული ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მიიღო ახალი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №ას-1586-1489-2012 22.04.13).

სასამართლოს შეცდომა (შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიერ, სკ-ის 373-ე მუხლის I ნაწილი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№2/ბ-497-12 19.06.12) ბათუმის საქალაქო სასამართლოს (№2-1664-11 17.02.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მხარეთა შორის დამტკიცებული მორიგებისა და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის შეფასების შედეგად არასწორად განსაზღვრა ვალდებულების შესრულების მიღების უფლებამოსილი პირი. იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ შესრულება მიიღო მოპასუხემ (შვილმა) სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მოპასუხის ჩვენებებს და მიიჩნია, რომ მიღებული თანხა მოხმარდა დედის (მოსარჩელის) რჩენას, მკურნალობასა და სხვა ხარჯებს.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სააღსრულებო ფურცლის შეფასება ცხადყოფს, რომ მხარეებს გააჩნდათ სხვადასხვა ვალდებულებები, რაც შეეხება თანხის მიღებაზე უფლებამოსილ პირს კი, წარმოადგენდა მოსარჩელე.

სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღების სამართლებრივი წინაპირობები სკ-ის 373-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხოლო არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული შესრულება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება შესრულებულად, თუკი კრედიტორმა ამაზე თანხმობა განაცხადა ან შესრულებისაგან მიიღო სარგებელი. მოცემული განჩინებით ირკვევა, რომ არც პირველი და არც მეორე შემთხვევა გამოკვლეული არ არის, ასევე, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კრედიტორისათვის არა თანხის გადაცემაზე, არამედ იმაზე, რომ მას ეს თანხა მოხმარდა სხვაგვარად. იგი ეყრდნობა მხოლოდ მოპასუხის განცხადებას და არ იკვლევს, მიიღო თუ არა სარგებელი კრედიტორმა (განჩინება №ას-1247-1176-2012 02.05.13).

სასამართლოს შეცდომა (თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ურთიერთშეთანხმებით სკ-ის 1160-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1226-12 30.05.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/8104 29.02.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა არა მიღებული სარგებელი, არამედ – მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერი განკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ, ასევე მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობაზე, სკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნაცვლად, უნდა გამოყენებულიყო ამავე კოდექსის 982-ე მუხლის პირველი ნაწილი, 408-ე, 409-ე და 412-ე მუხლები.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს სხდომის ოქმიდან და საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, არ არის მკაფიოდ გამოხატული მოსარჩელის მოთხოვნა და საფუძველები. ზემომითითებული ჩანაწერის

მიხედვით, მოსარჩელის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ იგი აზუსტებს მოთხოვნას და ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ ის უარს არ ამბობს სარგებლის მოთხოვნაზე. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო ადგენს, რომ მოსარჩელე სარგებლის ნაცვლად ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს მოსარჩელის მოთხოვნები და ამ მოთხოვნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარგებლის დაბრუნების მოთხოვნასა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას გააჩნია სხვადასხვა საფუძვლები. სსკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილი, როგორც აღინიშნა, დაზარალებულ მეუღლეს აძლევს უფლებას, მოითხოვოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი მაშინაც კი, როდესაც შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. სარგებელს წარმოადგენს ის აქტივი, რაც მიიღო მეუღლემ და რომლის ნახევრის მიღების უფლება აქვს მეორე მეუღლეს, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლემ ამით მიიღო ზიანი (გაეზარდა პასივი), მას, ასევე შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაზედაც დამატებით უნდა მიუთითებდნენ შესაბამისი ფაქტები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (განჩინება №ას-1136-1067-2012 11.02.13).

სასამართლოს შეცდომა (არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა):

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№2ბ/3519-11 24.05.12) დედოფლისწყაროს მაგისტრატის სასამართლოს (№2/77-11 23.08.2011წ) გადაწყვეტილებაზე შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, ძირითადი ყურადღება იყო გადატანილი მშობლების განქორწინების შემდეგ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებულ შედეგებზე, რასაც სადავო ურთიერთობის გადაწყვეტისათვის ერთ-ერთი და არა ერთადერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, გაეროს „ბავშვთა უფლებათა კონვენციის“ მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისას არ გაამახვილა ყურადღება საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც აუცილებელია სამართლებრივი დასკვნებისათვის.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: გაეროს „ბავშვთა უფლებათა კონვენციის“ მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ დაშორება აუცილებელია და ბავშვის ინტერესებისთვის უკეთესია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის მიჯაჭვულობას რომელიმე მშობელთან, რაც სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ფსიქოპედაგოგიური ექსპერტიზის მიხედვით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ის რისკები, რომლებიც ეხება ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლით მიღებულ სტრესს, დედასთან დაშორებით გამოწვეულ უარყოფით განცდას და შესაბამისი სპეციალისტების მეშვეობით გამოიკვლიოს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე რომელი რისკის აცილება უფრო მნიშვნელოვანია ასაკის გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლომ უნდა გაამახვილოს ყურადღება ისეთ აუცილებელ კრიტერიუმებზე, როგორიცაა ბავშვის ასაკი, მშობლების ზნეობრივი და სხვა პირადი თვისებები, ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობა, ბავშვის აღზრდა, განვითარებისათვის შესაბამისი

პირობების შექმნის შესაძლებლობა, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების ოჯახური მდგომარეობა, დედის მიერ ბავშვის მიტოვების მიზეზი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვისა და დედის გაერთიანება, დედას უნდა ჰქონდეს მშობლის უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზაციის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, დედას უფლება აქვს, მოითხოვოს ბავშვის დაბრუნება. ზემოაღნიშნული საფუძველით საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს (**განჩინება №ას-1062-996-2012 22.01.13**).

სასამართლოს შეცდომა (სავალდებულო წილი, სკ-ის 1371-ე მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2680-12 18.10.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/4255-12 30.05.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, სკ-ის 1371-ე და 1336-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ შვილიშვილი წარმოადგენს პირველი რიგის კანონით მემკვიდრეს და, შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სკ-ის 1372-ე მუხლის მეორე წინადადება ითვალისწინებს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ტრანსმისიას, თუმცა, ამავე ნორმის თანახმად, ტრანსმისია დასაშვებია, თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ისე, რომ მან ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება, თუმცა განსახილველ შემთხვევაში, ასეთი რამ არ მომხდარა. შესაბამისად, სპეციალური ნორმის არსებობისას, შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს სკ-ის 1336-ე მუხლით გათვალისწინებული წარმომადგენლობითი ტრანსმისია. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ანდერძი მოიცავს მთელ სამკვიდროს, ამასთან, ანდერძი არ არის შეცილებული მოსარჩელის მიერ. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ სავალდებულო წილის უფლების დადგენისათვის არ შეიძლება იქნეს გამოყენებული კანონით მემკვიდრეობის ნორმები. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსკ-ის 411-ე მუხლით, მიიღო ახალი გადაწყვეტილება (**გადაწყვეტილება №ას-1577-1480-2012 06.06.13**).

სასამართლოს შეცდომა (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/1450-12 05.07.12) გორის რაიონული სასამართლოს (№2/754-11 28.02.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მიიჩნია, რომ სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე ბრძანების გაუქმების საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი უფლებას ანიჭებდა მოპასუხეს, ცალმხრივად მოემალა შრომითი ხელშეკრულება მოსარჩელესთან. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების მოშლა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დამოუკიდებელი საფუძველია და იგი არ გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტას ვალდებულების დარღვევის ან სხვა საფუძვლის გამო.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს სპეციალურ კანონს მასწავლებელსა და სკოლის დირექტორს შორის წარმოშობილი შრომითი ურთიერთობების რეგულირების სფეროში, შესაბამისად, სკოლის დირექტორის ინიციატივით მასწავლებელთან

შრომითი ხელშეკრულების ვადამდე მოშლის კანონიერების საკითხი უნდა შემოწმდეს სწორედ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეგულირების ფარგლებში, რაც არც პირველი ინსტანციისა და არც სააპელაციო სასამართლოს არ განუხორციელებია. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი დამსაქმებელს ანიჭებს შეუზღუდავ უფლებას, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოშალოს შრომითი ხელშეკრულება დასაქმებულთან. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ნორმით მხარეთათვის მინიჭებული ხელშეკრულების მოშლის უფლება არ არის შეუზღუდავი, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტური, შეუზღუდავი სამოქალაქო უფლება. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (**განჩინება №ას-1265-1194-2012 25.01.13**);

– შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის არასწორი განმარტების შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდა და ხელახლა განსახილველად დაბრუნდა იმავე სასამართლოში საქმე **№ას-1127-1058-2012 25.01.13**; იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ **№28/337-12 05.07.12**;

ხოლო გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ №2/9307-11 29.11.11.

სასამართლოს შეცდომა („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (**№28/1296-12 28.06.12**) თბილისის საქალაქო სასამართლოს (**№2/111-12 22.02.12**) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, მიიჩნია, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ვერ დასტურდება მამკვიდრებლის მოსარგებლეობა და, შესაბამისად, არც მისი უფლებამონაცვლის (მოსარჩელის) მიმართ მოსარგებლეობაა დადასტურებული, რის გამოც არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალებში წარდგენილ კომუნალური გადასახადის ქვითრებზე, რომლის გადამხდელიც იყო მამკვიდრებლის ქმარი, ასევე, საქმის მასალებში წარმოდგენილია იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სადავო ბინიდან მამკვიდრებლის რეგისტრაციის მოხსნის ფაქტის შესახებ, თუმცა წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ ირკვევა, თუ როდის განხორციელდა სადავო ბინაში მისი რეგისტრაცია. საკასაციო სასამართლოს ვარაუდით, მეუღლის გარდაცვალებიდან მამკვიდრებლის რეგისტრაციის მოხსნის დღემდე კომუნალურ გადასახადებს იხდიდა ეს უკანასკნელი. საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, სასამართლოს განმარტებით, მნიშვნელოვანია, გაირკვეს მეუღლის გარდაცვალებიდან კომუნალური გადასახადების პერიოდი და რეგისტრაციის არსებობის პრეზუმფცია. ზემოაღნიშნული საფუძველით საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს (**განჩინება №ას-1263-1192-2012 02.05.13**).

სასამართლოს შეცდომა („საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№2ბ/2021-12 21.06.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს (№2/144405-11 30.04.12) გადაწყვეტილებაზე შემოსული საჩივრის განხილვისას, გამოიყენა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-18, 54-ე და 59-ე მუხლები და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მონაცემთა ბაზის საწყისიდან აღებული იყო მოპასუხის მიერ დამუშავებული მონაცემთა ბაზის ვერსია.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: სასამართლომ არ შეაფასა და არ განმარტა, თუ რა არის მონაცემთა ბაზა და, შესაბამისად, გაუგებარი გახდა, რისი გამოყენების აკრძალვა და უკან დაბრუნება დააკისრა მოპასუხეს. იმისათვის, რომ მონაცემთა ბაზა საავტორო უფლების ობიექტად მივიჩნიოთ, იგი უნდა იყოს მასალის შერჩევითა და განლაგების ინტელექტუალური საქმიანობის შედეგი, ხოლო მონაცემთა ბაზის დამამზადებლის მომიჯნავე უფლება ვრცელდება იმ ობიექტზე, რომლებიც არ წარმოადგენენ ნაწარმოებს (ანუ არაშემოქმედებითია), სამართლებრივ დაცვას იძენენ იმ შემთხვევაში, თუ მის შედგენასთან დაკავშირებით განხორციელდა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი ინვესტიცია, ანუ დაცვის საგანს წარმოადგენს არა მასში შემავალი ინფორმაცია, არამედ მონაცემთა ბაზაში მასალის ორიგინალური შერჩევა და განლაგება. ამ შემთხვევაში დამამზადებელი სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით, არ დაუშვას მისი მთლიანი ან მნიშვნელოვანი ნაწილის ამოღება, ანდა ხელახალი გამოყენება. სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, განახორციელა თუ არა მოსარჩელემ ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით არსებითი ინვესტიცია მონაცემთა ბაზის შემცველობის შექმნის, მოპოვების, დაზუსტების ან წარმოდგენის მხრივ; კონკრეტულად რაში გამოიხატა არსებითი ინვესტიციის განხორციელება. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს. ამდენად, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ას-1210-1139-2012 02.05.13).

3. დასკვნა

შესწავლილი მასალის განზოგადების შედეგად დადგინდა ქვემოთი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომების შემდეგი ტენდენციები:

- სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილი და არ გაათავისუფლა მოსარჩელე მტკიცების ტვირთისგან;
- სასამართლომ არ შეაფასა ექსპერტის დასკვნა სსკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად;
- არასწორად გამოიყენა სსკ-ის 385-ე მუხლი. ისე დააბრუნა საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომ არ იმსჯელა, თუ რამ განაპირობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა დაბრუნების აუცილებლობა;
- დაუსაბუთებლად გამოიყენა სსკ-ის 251-ე მუხლი და გადაავადა გადაწყვეტილების აღსრულება;
- სსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფით არასწორად იქნა გადანაწილებული მტკიცების ტვირთი;

- საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება არ არის შეფასებული სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით;
- არასწორად განმარტა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის შესახებ“;
- სასამართლომ არასწორად გამოიყენა სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი და დააკმაყოფილა სარჩელი, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების ყველა წინაპირობა;
- შეფასების გარეშე დატოვა სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული აუცილებელი პირობა – მოსარჩელის უფლება სადავო ნივთთან მიმართებით;
- არასწორად გამოიყენა სკ-ის 115-ე მუხლი;
- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის გადმოცემული მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ არ იზიარებს სასამართლო მოსარჩელის არგუმენტებს პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვასა და ზიანთან დაკავშირებით;
- არასწორად განმარტა სკ-ის 138-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტასთან დაკავშირებით;
- მხარეთა შორის დამტკიცებული მორიგებისა და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებლო ფურცლის შეფასების შედეგად სკ-ის 373-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არასწორად განსაზღვრა ვალდებულების შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირი;
- არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც აუცილებელია სამართლებრივი დასკვნებისათვის.
- სკ-ის 1371-ე და 1336-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ შვილიშვილი წარმოადგენს პირველი რიგის კანონით მემკვიდრეს და, შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს;
- შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით დამსაქმებლისათვის მინიჭებული უფლებამოსილება, შეწყვიტოს მხარეთა შორის არსებული შრომის ხელშეკრულება, სასამართლომ მიიჩნია შეუზღუდავ უფლებად;
- „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ვერ დასტურდება საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლეობა;
- სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა მონაცემთა ბაზის გამოყენების აკრძალვა და უკან დაბრუნება, ისე რომ არ გამოიკვლია და არ განმარტა არსებობდა თუ არა „საავტორო და მომიჯნავე უფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად, დამამზადებლის მომიჯნავე უფლების დაცვისათვის ყველა საჭირო სამართლებრივი ელემენტი.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა
და განზოგადების განყოფილება**